№ 22. 30 იანვარი, პარასკევი. 1866—1881 30 იანვარი, პარასკევი. № 22.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვით | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ახოზე 1 [illegible] შთავარშულით ახოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივის ასოით ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ ხანგრძლივება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს და შემოკლებებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

სამწუხაროდ ვრაცხთ ჩვენი მკითხველის საცნობელად გამოვაცხადოთ, რომ თ. აკ. წერეთელი დღეიდამ მუდამ თანამშრომელობასა და რედაქციაში მონაწილეობას იღებს.

---

მომავალ პარასკევს, 30 იანვარს
თფილისის საზაფხულო თეატრში დანიშნულია
ბენეფისი მომღერალის
**ფ. ქორიძისა**
ითამაშებენ რუსულ ოპერას
**ЖИЗНЬ ЗА ЦАРЯ**

---

# ტელეგრამმებ

(სახლხთა მორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 28 იანვარს. „ახალი დროების“ რედაქტორი თეოდოროვი, ბურენინი, პოლიკარპოვი და პატალონი აპირებენ აპელაციის გადატანას სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. „გოლოსი“ აცხადებს: უმაღლესად დამტკიცდაო რომ გლეხებს გაუადვილონ სახელმწიფო გადასახადის შემოტანა.

ვენა. 27 იანვარს. გოშენ და ელიოტს ჰქონდათ მოლაპარაკება განმერლესთან; რამდენიმე საათის განმავლობაში სხდომას დაესწრნენ ყველა უცხო—ქვეყნების ელჩები, უბრის გარდა; ცოტა ხნის შემდეგ განმერლესთან მოვიდა პაპის ნუნციუს (ელჩი).

ლონდონი, 28 იან. გაზ. *Standard* სწერს, რომ კაბულში ლუნგსნეკის და ნიუკასტლის შორის გაგზავნილი წერილები უპოვნიათ. ფიქრობენ, რომ ამ ორ ქალაქ შუა ტელეგრაფის მავთული გაუფუჭებიათ. ათასი ბოერები შეკრებილნი არიან ინგლისის მარცხენა ჯარის გვერდით. კონსტანუნიდამ ოფიციალურად სწერენ: უმეტესი ნაწილი აჯანყებულებისა დაუმორჩილდნენ მართებლობას.

დურბანი, იანვარს. დილეიმ გაგზავნა პოლკი ოთხას ზარბაზნით, და ბრძანა, რომ ბოერები გაფანტოს. ნიუკასტლის გზაზე ომი დაიწყო.

დუბლინი, 28 იანვარი. დუბლინის საადგილ-მამულო ლიგამ გადასწყვიტა, რომ სთხოვოს პარნელს წავიდეს ამერიკაში, რომ იქ ლიგის სასარგებლოთ ილაპარაკოს.

---

## გამბეტტას ძლიერება

ტფილისი, 29 იანვარს.

ამ თორმეტის წლის წინ ლეონ გამბეტტას სახელი არავინ არ იცოდა; ის იყო ერთი უბრალო ადვოკატი, როგორც სხვა ათასი ადვოკატები არიან პარიჟის სასამართლოებში.

1868 წელს, ნაპოლეონ მესამის იმპერატორობის დროს, ერთმა სიტყვამ, რომელიც იმან წარმოსთქვა, 1851 წელს ბარიკადაზე მომკვდარის რესპუბლიკელის ბოდენის თაობაზე, უეცრად წინ წამოაყენა ეს ახალგაზდა ადვოკატი და მთელს ქვეყანაში მოჰფინა იმის სახელი. ამ მჭევრმეტყველურ სიტყვაში გამბეტტამ წარმოსთქვა ის, რაც ყველა პატიოსან და ნაპოლეონის მტარვალობისაგან დაჩაგრულ ფრანცუზს აწუხებდა, რაც ყველას გულზე აწვა და ვერავის კი ვერ გაებედნა თქმა; გამოხატა ნაპოლეონის ვერაგობა, იმის ძალ-დატანებითა და გაიძვერობით საფრანგეთის ბედის ხელში ჩაგდება და სხვ. და სხვ. და გამოხატა ისე, რომ ყველას გული აუღელვა, ყველას აგრძნობინა ნაპოლეონის მოქმედების სისაძაგლე.

ამ დღიდამ იწყება ადვოკატის გამბეტტას სახელი და დიდება. ამ დღიდამ რიცხვით მცირე რესპუბლიკელებმა თავის რაზმში ჩასთვალეს ის და ცოტა ხანს შემდეგ საფრანგეთის ორმა საუკეთესო ქალაქმა პარიჟმა და მარსელმა თავის წარმომადგენლად, დეპუტატად, გაგზავნეს ის მაშინდელს კანონმდებელ პალატაში.

მას შემდეგ რაც ცვლილება და ამბავი მოხდა საფრანგეთის ბედში—ყველამ იცის: გერმანიასთან ომი, ნაპოლეონის დატყვევება, იმპერიის მოსპობა და რესპუბლიკის დაფუძნება. ყველა ამ საფრანგეთის ბედის ცვლილებასთან მჭიდროდ შეკავშირებულია გამბეტტას სახელიც.

ახლა გამბეტტა პირველი, უძლიერესი კაცია საფრანგეთში. ოფიციალურად, მართალია იმას უჭირავს მხოლოთ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და საფრანგეთის მმართებლობის წარმომადგენლად ითვლება რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟულ გრევი, მაგრამ საქმით, ნამდვილ კი საფრანგეთის ბედის გადამწყვეტი და იმის შინაგან და გარეგან საქმის გამგებელი არის გამბეტტა. არც ერთი საზოგადო და შესანიშნავი, საყურადღებო საქმე არ გადაწყდება საფრანგეთში უმისოთ, უმისოთ ვერც ერთი პრეფექტი (ღუბერნატორი) ვერ დაინიშნება, ვერც ერთი სარდალი, დეპუტატებისი და ხმოსნების არჩევნის დროს ხალხი თითქმის მუდამ იმას შესჩერებია, იმისაგან მოელის დარიგებას, ამოსარჩევ კაცების მითითებას, უმისოთ არც ერთი ახალი კანონი არ შემოიღება საფრანგეთში და არც ერთი ძველი არ მოისპობა; რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრები ყველაფერში იმას ეკითხებიან—როგორ მოვიქცეთო, უმისოთ და იმის წინააღმდეგ თითქმის ფეხს ვერ გადადგამენ და თუ გადადგეს, თავის თანამდებობას თავი უნდა დაანებონ.

რით, საიდამ, როგორ შეიძინა ამ კაცმა ეს ძლიერება? შეიძინა თავის გამჭრიახე ჭკუით და მოხერხებით. დიახ, ამისთანა ჭკუიანი, მოხერხებული და ამავე დროს ამისთანა ენამჭევრი კაცი ამჟამად საფრანგეთს მეორე არა ჰყავს.

ჩვენ არა ვართ იმ სწავლის მომხრე, რომელიც ამტკიცებს, რომ ერთს კაცს შეუძლიან მთელი ხალხის ბედის წაღმა ან უკუღმა დატრიალებაო. პირ-იქით ჩვენ გვგონია, რომ ხალხის ცხოვრებაში ერთს განცალკევებულს კაცი ძალიან ცოტა რამ შეუძლიან, თუ ეს კაცი არ არის პირდაპირ ნაშობი ხალხის ცხოვრებისა, თუ ის არ არის საზოგადო სურვილისა, მიმართულებისა და ლტოლვილების გამომხატველი; ერი მხოლოთ

---

«დროების» ფელეტონი, 30 იანვარს.

## ცხელ-ცხელი ამბები

წაღმა-უკუღმართს რომ იტყვიან სწორეთ ეს 1881 წელია: გინდ წინიდან წაიკითხეთ, გინდ უკანიდან, მაინც ერთი და იგივე რიცხვი გამოდის; გინდა ორი თავი აქვს, გინდა ორი ბოლო; გინდა წინა აქვს თავი, გინდა უკან, მაგრამ ერთსა და იმავე დროს კი უთავ-ბოლოა!... და თუ ის მართალია, რომ ახალ წელიწადმა დაკვებება იცისო, თქვენი მტირია, მთელის წლის განმავლობაში ჩვენ უთავბოლობა დაგვჩემდეს!...

მაგრამ ან კი რაღა დაგვჩემდება, რომ დაბადებიდანვე უთავ-ბოლობათან დაგვდევს.

აბა, ვის ენახავთ და რას ჩვენში მისთანას, რომ თავ-ბოლო გაერჩეოდეს ზოგიერთ კანონსაევით? სადაც ბოლო გვგონია, იქ თურმე თავია და ბოლო კი თავის ადგილს იჭერს!

ბევრჯელ გამიგონია ჩვენში, რომ ესა და ეს კაცი თავიანიაო; გამიცვნია, დაკვირვებით და გამომდგარა, რომ ბოლო თავით მიუღიათ.

მაშ საზოგადოების უმეტესობა რათ აიჩემებს ხოლმე და დაჯინებით ეძახის ერთს ვისმეს ან თავიანს და ან უთაურს? წაბძანდით და ჰკითხეთ!...

ცხვრის ჯოგი ხომ მოგეხსენებათ და გენახვებათ?! ერთი რომელიმე ცხვარი დაიბღავლებს „ბეეეო“, იმას აჰყვებიან დანარჩენები და აღარ არის ყურთა-სმენა. ბოლოს უმიზეზოთვე დაჩუმდებიან და მით თავდება საქმე. ხან-და-ხან მასხარა და გამოქნილი მეცხვარე განგებ თვითონ დაიძახებს ცხვარსავით და ასტეხს ხოლმე ცხვრებსაც.

სწორეთ ამ მეცხვარესავით ირჯებიან გაქნილი და გაიძვერა კაცები: ერთს ვისმეს დააყვირებენ და ასტეხენ საზოგადოებას. აბა მობძანდით იმ საზოგადოებაში და ჰკითხეთ თუ ერთმა მათგანმა საფუძვლიანი მიზეზი გითხრასთ: რათ ეძახიან ვისმეს ან უთაურსა და ან თავიანს?

აი, თუ გნებავსთ, მაგალითებიც მოვიყვანოთ:

ერთგან სადმე სცხოვრობს ორი კაცი პლუტუც და ტუტუც. პირველი არის მაზრის უფროსი და მეორე კი მსაჯული. ესენი ერთმანეთში ისე არიან მჭიდროთ შეკავშირებული, რომ თავი-და-ბოლო აღარ გაერჩევათ: სადაც ერთის ბოლო თავდება, იქვე მეორის თავი იწყება. და ისეთი თანხმობაცა აქვსთ ერთმანეთთან, რომ ერთი რომ ცხვირს დაიცემინებს, მეორე ბანს მიაყოლებს ხოლმე! „ხეირი!“ მიაძახებს ხოლმე პირველი: „ღმერთმა მოგცესო!“ უპასუხებს მეორე და არიან ერთს განცხრომაში.

ამით ორივეს დავარდნილი აქვსთ ხმა ჭკუის, სწავლის და პატიოსნების. თავიანებათ ითვლებიან. მოდი ვნახოთ:

ერთხელ უფროსმა დირიგება მისცა ამ მეგობრებს: „რაც უფრო მძიმე იქნებით, ის ემჯობინებაო! მჩატე არ უნდა იყოთო!“ ეს რომ მოისმინეს, მაშინვე სასწორისაკენ გასწიეს და თავი აიწონეს. ერთი ექვსი ფუთი გამოდგა და მეორე კი ნახევარ ფუთი მეტი; მაგრამ ექვს ფუთიანმა უთხრა:

— „არ მჯერაო. თუ გინდა დილას ავიწონოთ თავი, თორემ ნასადილევს, რასაკვირველია, შენ უფრო მძიმე გამოხვალ, რადგანც ჩემზედ მეტსა ჰყლაპავო!...

მაშინ გაჰყვება და ემორჩილება თავის მოწინავეს, როდესაც ეს მოწინავე იმის გაკეთებასა და შესრულებას ცდილობს, რაც მთელ ამ ერსა ჰსურს.

აი, ამ გარემოებაზედ არის დამყარებული გამბეტტას ძლიერება. იმან მიაგნო ხალხის ძარღვს, ჩაავლო იმას მაგრად ხელი და ერთის შეხედვით ჩვენ გვეჩვენება, რომ საითაც უნდა, იქით მიჰყავს მთელი საფრანგეთის ერიო; ნამდვილად კი უფრო ის მიჰყვება ამ ერს, ის ასრულებს ერის წადილსა და გულის პასუხს.

ამაში მდგომარეობს ყოველი გამგებლის ჭკუა და მნიშვნელობა: თუ იმან კარგათ გაიგო ერის საწადელი და დროზედ შეასრულა, იმის გამგეობა ერისათვისაც საბედნიერო იქნება და თვითონაც კმაყოფილი დარჩება; თუ არა იცოდეთ, რომ ვერც თვითონ დაიმსახურებს სახელს და ვერც ერს დააყრის კეთილს...

ყირიმის ომის შემდეგ, ნაპოლეონმა ისეთი ძალა და მნიშვნელობა შეიძინა, რომ მთელი ევროპა იმას შესჩერებოდა: რას იტყვის, როგორ გუნებაზედ არის, რომელ სახელმწიფოს ურისხდება, რომელთან ალერსიანად არისო.

სწორეთ ამნაირად შესჩერებიან ახლა გამბეტტასაც. იმის მოღრუბლულ სახეზედ ევროპის საქმეების არევას ჰკითხულობენ; თუ მხიარულად არის, ყველა დარწმუნებულია, რომ ევროპაშიაც მშვიდობიანობა იქნება და საფრანგეთშიაც კარგათ მიდის რესპუბლიკის საქმე.

რასაკვირველია, როგორც ყველა ზაზოგადო საპოლიტიკო ასპარეზზე გამოსულ კაცს, გამბეტასაც ბევრი მტერი ჰყავს; ერთის მხრით მონარხიის მომხრეთ და მეორეს ადრინდელ კომუნის მომხრეთ ქამიკით სძულთ, ეჯავრებათ ის; მაგრამ თვით ეს ამათი მკაცრი მძულვარება ამტკიცებს, რომ გამბეტტა ძლიერი და ყოვლად-შემძლებელია, რომ იმის ხელ-მძღვანელობით დაფუძნებულს საფრანგეთის მესამე რესპუბლიკას ისინი ვერას დააკლებენ.

## ახალი ამბები

ჩვენ გვაცნობეს, რომ გენერალ-მაიორის თავ. გრ. ა. შარვაშიძის თაოსნობით აბხაზეთის საზოგაროებას განუცხადებია სურვილი, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ იკისროს აბხაზეთში სკოლების გამართვა და ბევრი თავად-აზნაურთა გამოუცხადებიათ კიდეც სურვილი საზოგადოების წევრათ შესვლისა. ჯერ დროებით საზოგადოებას მოსვლია ოც-და-ექვსი კაცისგან საწევრო ფული და განცხადება წევრათ მიღებაზე. უმეტესი ნაწილი ამათგანი არიან შარვაშიძეები, მარშანიები, ანჩაბიძეები და ემუხვარები.

იქ განცხადებაში, რომელიც შემოუტანიათ საზოგადოების მმართველობაში, ისინი, სხვათა შორის, ითხოვენ, რომ სკოლებში პირველ-დაწყებითი სწავლა უეჭველად ქართულ ენაზედ იყოსო, რადგანაც ძველის დროიდამ ეს ენა არისო ჩვენთვის სამოქალაქო და საეკლესიო ენაო.

* * *

გუშინდელ ნომერში მოყვანილი იყო ხმოს. ზუბალოვის წინადადება, რომ ქალაქის ხაზინას რჩევამ უეცარი რევიზია უყოსო. ეს ამბავი ჩვენს გაზეთში „კავკაზიდამ“ გადმოვბეჭდეთ, რადგან იმ დღეს ჩვენი რეპორტიორი არ დასწრებია რჩევის სხდომაზედ. და „კავკაზში“ არაფერი არ ყოფილა მოხსენებული იმაზედ—თუ გამგეობის წევრებმა რა სთქვეს ხმოს. ზუბალოვის წინადადებაზედ. ამიტომაც ჩვენს დღევანდელს ნომერში საყვედური არის გამგეობაზედ—რატომ თვითონ იმან არ მოითხოვა ეს რევიზიაო?

დღევანდელ „კავკაზის“ ნომერში დაბეჭდილია რჩევის სეკრეტრის ბატ. იზმაილოვის წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ ქალაქის თავმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა ხმოს. ზუბალოვის წინადადებაზედ და მოითხოვაო, რომ რჩევა დათანხმდეს ამ წინადადებაზედ და მოახდინოს უეცარი რევიზიაო.

საჭიროდ ვრაცხთ ეს ჩვენი უნებლიე შეცდომა გავასწოროთ.

* * *

ამავე სხდომაზედ ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ დღეის შემდეგ კვირაში ორი სხდომა იქნება ქალაქის რჩევისა და თუ რომელიმე სხდომა ვერ შესდგა, ხმოსანთა რიცხვის სიმცირის გამო, ამ შემთხვევაში ქალაქის თავი იხელმძღვანელებს ახალის კანონით, ე. ი. დაინიშნება მეორე სხდომა და ეს სხდომა, რამდენიმე ხმოსანიც უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია თფილისიდამ მიღებული ამბავი, აქ ჩამოვიდნენ რემდენიმე იაპონელები, რომელთაც განზრახვა აქვსთო, რომ ბაქოს მახლობლად ჩაის ხის ბაღები მოაშენონო.

* * *

მოვაგონებთ ჩვენს საზოგადოებას, რომ დღეს პარასკევს საღამოს საზაფხულო თეატრში დანიშნულა ჩვენი თანამემამულის ფ. ქორიძის ბენეფისი. ითამაშებენ რუსულ საუკეთესო ოპერას გლინკასას **„Жизнь за царя“** (მეფისთვის თავის-შეწირვა).

## „დროების“ კორრესპონდენცია

**რაჭა**, 18 იანვარს. პირველს თოვლს მოჰყვა წვიმები, რომელსაც შარშანდელის ზამთრისაგან დაშინებული ჩვენი გლეხები სასოებით შესცქეროდნენ და რომლისგანაც მოელოდნენ დიდ-წყალობას. ამბობდნენ, რომ წვიმა თოვლს არ დააყენებს და საქონელს ადრიანათ გავრეკავთ საბალახოზედაო. მაგრამ მოტყუვდნენ. თუმცა წვიმებმა სარგებლობაც მოგვიტანა, თოვლი გააქრო და ცივი დღეები დაგვიტკბო, მაგრამ ნაშობევის ხანგრძლივმა წვიმებმა დიდი ზარალი მოგვცა ქვემორაჭის მცხოვრებლებს. [illegible] წვიმები იყო იანვრის [illegible] კაცი კარში ველარ გამოდიოდა, გზებში და ყანებში რუები მიშხიოდნენ, ვაკე ადგილებში თვალ-გაუწვდენელი ტბები გადგნენ, მდინარეები თავის კალაპოტში აღარ ეტეოდნენ.

აი, ამ წყლებს თან მოჰყვა ჩვენი უბედურებაც: საშინელი მეწყრები. შეუჯდება ეს წვიმის წყალი რბილ მიწას და ნელა-ნელა ულბობს ძირს. ბოლოს მოგლეჯს მიწას, ხან ვენახს, მთელს სახლობას და ხრამში მიაქვს, წალეკავს.

ჩვენში წელს ამ ადგილებსაც გამოჰკრა მეწყერმა თავის შემმუსვრელი კლანჭები, რომელთაც არასოდეს არ დამართნია ამისთანა უბედურება.

ყველაზედ მეტად გაფუჭდა ქვემორაჭა, ხიდის-კარს ქვევით. სოფელს ბარეულს ისე დააქცია მამულები, რომ ძლიერ გაგიჭირდებათ ნახოთ ერთი იქაური მცხოვრები, რომელმაც არ შემოგჩივლოთ დაღონებულის გულით: „დავიღუპე, ბატონო, ერთი ნაჭერი ვენახი გახლდათ და იმანაც თქვენი ჭირი წაიღო, ისიც სრულიად მეწყერმა წამართვა!

სოფელს ხიმშს მაინც მეტად სამწუხარო ამბავი მოახდინა მეწყერმა: ექვს იანვარს, ნათლის-ღება დღეს, ერთს მხარეს ამ სოფლისას გაუჩნდა მეწყერი. ეს საუბედურო ნიშანი ძლიერმა მიწის შერყევამ აცნობა ერთს მცხოვრებს, რომელმაც მიირბინა მეზობლებში და ყველას აცნობა, რომ მიილონ, იხმარონ რამე საშუალება ამ უბედურობის თავიდამ ასაცილებლად. რასაკვირველია, ამისთანა მოულოდნელი უბედურებისგან თავ-ზარ დაცემულმა მცხოვრებლებმა ყოველი ღონის-ძიება იხმარეს, რომ გადაერჩინათ ჭირნახული და შინაური საქონელი. მთელი სოფელი დაეხმარა იმათ და მართლაც კარგი საქმე ჰქნეს: მოასწრეს უმეტესი ნაწილის ჭირნახულის და საქონლის გადარჩენა, მაგრამ კიდევ ბევრი ნაო-

---

მესასწორემ ჩაიცინა გუნებაში და სთქვა:

— ნეტავი რა აჩხუბებსთო? ღმერთთან სწორი სჯობს, გვარიანი ჩასუქებული ბრძანდებიან; მაგრამ ერთ კარგ ჯინშის ლორთან კი მაინც ვერ მოდიან წონაშიო!“

მეორეთ მოწერილობა მოუვიდათ, რომ გაქცეულ ტუსაღებს სულ ურმით სდიეთ და ისე დაიჭირეთო! იმათაც მაშინვე შეაბმევინეს ტროიკები, შეუბეს ზარები და სულ ბღლვირს ადენდენ გზა-ტკეცილებზედ გაქცეულ ტუსაღების დასაჭერათ...

აი მინუში მათის ჭკუის ძალისა!... ახლა სწავლა-ცოდნაც ვუნახოთ:

ახალი სამართალი რომ შემოიღეს, რომლის ძალითაც სამჯავრო უფლება ჩამოერთვათ მაზრის უფროსებს და დაეტოვათ მხოლოდ ადმინისტრატიული, პლუტუცამ მოინდომა ერთი კაცის გაროზგვა; მაგრამ, რადგან თვით ნება აღარა ჰქონდა, გაუგზავნა თავის მეგობარს ტუტუცას და მისწერა:

— ჩემი სურვილი არის, რომ ამას ორმოც-და-ათი ჯოხი დაჰკრაო.

მსაჯული დაფიქრდა. მოიხმო სეკრეტარი და ჰკითხა:

— მე უფროსი ვარ, თუ მაზრის უფროსიო?

— ორივე უფროსები ბრძანდებითო! მიუგო სეკრეტარმა.

— მაშ ამისთანა ბძანებითი წერილი როგორ გამომიგზავნაო? აბა, ნახე კანონში როგორ სწერია: პლუტუცა უფროსია, თუ ტუტუცა?

— ორივე სწორი ბძანდებითო. მაგრამ გაროზგვა ამა-და-ამ რიცხვიდამ აკრძალულიაო! უჩვენა ერთი მუხლი კანონის სეკრეტარმა.

მსაჯულმა იმ კანონის ძალით უკანვე დაუბრუნა საბრალო მსხვერპლი პლუტუცას და შეუთვალა, რომ გალახვა აღარ არის, აკრძალულია ამა-და-ამ რიცხვიდანო. მაშინ მოხერხებულმა მაზრის უფროსმა ხელმეორეთ შემოუთვალა: „—ეგ მართალია, მაგრამ უკანა რიცხვებათ გაროზგეო. ეგ მე ერთხელაც ჩავიდინე, სასოფლო ყრილობას უკანა რიცხვებათ გავაროზგვინე გლეხ-კაციო.

თუმცა ამ მაგალითებთან არ იხედება არც დიდი ჭკუა და არც დიდი სწავლა, მაგრამ ანც ერთი რა საჭირო იქ, სადაც წვრილმან ხერხიანობას გასავალი აქვს! იმათ იციან: „უფროსო ინებე, უნცროსო მომეცი! ხელქვეითო, შემიჯდინე, უფროსო შემჯექ!“ და ეს კმარა...

პლუტუცები და ტუტუცები იძენენ, მდიდრდებიან და არიან განცხრომაში; მათი მრავალ-ეტაჟიანი სახლები აქვე ეუბნებიან გამვლელ-გამომვლელებს: ვერა გვხედავთ, როგორ აგვამაღლა ამან-და-ამანო? და მერე როდის და რა გვარათო? მაშინ, როდესაც არც-რა სამკვიდრო ჰქონიათ, არცა-რა ვაჭრობით შეუძენიათ არც ლატარიაში მოუგიათ! მხოლოდ ჯამაგირზედ ჰყოფილან. ორასი თუმანი აულიათ წელიწადში; ათასი უხარჯავთ და ათი-ათასობით მაინც კიდევ დარჩენიათო! აი ჭკუა, სწავლა და ნიჭიო? —„მართალია, მართალია! ბლავის საზოგადოება და სალამი პლუტუცებს, პატივისცემა ტუტუცებს!.“

ეს ხალხი ყოვლად ბედნიერი იქნებოდა, რომ უსაქმურობა არ აწუხებდესთ.

აი, ის ჩვენი ზემოხსენებული მეგობრებიც ერთხელ მოწყენილები იყვნენ და არ იცოდენ, თუ როგორ შეექციათ თავი. უცრათ ერთი ვინმე

ფლარი ჩანსთქა მეწყერმა ჩვენი მცხოვრებლებისა. ღვინოები თავის ქურჭლებით და სიმინდით სავსე ნალიები თითქმის სრულიად გაქრნენ მიწაში. სახლები და სხვა შენობები სამს საჟენზედ ჩაძვრნენ მიწაში. ამბობენ, ერთი ღვინით სავსე ქვევრი ნიგვზის ხეზედ მიეკრათ; ნიგოზი კარგა შორს წასულიყო მიწაში და შემდეგ ქვევრიანად გაჩერებულა.

სულ ამ საშინელი უბედურების მსხვერპლათ ოთხმეტი მცხოვრები გახდნენ. დიდი ბედნიერებაა, რომ მიწა დაიძრა დღისით, თორემ ღამით რომ დაძრულიყო, ბევრს კაცის სულს ცოცხლად გაუთხრიდა ის საფლავს. შესაცოდავი სანახავი იყვნენ ისინი, რომლებიც ხელ-გულ დაკრეფილი მიდიოდნენ სხვა და სხვა სოფლებისაკენ მოყვრებში ამ ზამთარში თავის სარჩენად. საცოდავათ ამოჰყიოდნენ უსუსური ყმაწვილები, ახლად დაბადებული კრავები და სხვა ცხოველები ჩელტებში, რომლებიც იდვენ მარხილებზედ; დაღონებულად მიჰყვებოდნენ უკან მათი პატრონები, ქალები და კაცები.

რაჭველი.

**ზუგდიდი;** 25 იანვარს. ნათქვამი: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ ჯავი არე უჯოხოვო“. მართლაც აგრე ემართებათ აქაურ ზოგიერთს ცრუმეტყველთ ადვოკატებს. უნდა მოვახსენოთ, ისეთი ძნელი შეიქნა ადგილობრივ მომრიგებელ მსაჯულის სამოსამართლოში რამე საქმის გაკეთება, რომ საწყალი მდაბიო გლეხი ხალხი, იძულებულია საქმეს თავი მიანებოს და მომჩივანს არ გაჰყვეს სამოსამართლოს კარებამდის, თუგინდ იმას საცხოვრებელს ართმევდენ. თუ ერთხელ კი გაუვლია სამოსამართლოსთან, იმას სწორეთ ეცოდინება, რომ გამოუცდელი მოსაქმე კაცს, იქ მოელის უთუოთ სხვა და სხვა ჭორმეტყველებისაგან წართმევ-გაგლეჯა. ამის გამო საწყალი მოპასუხე გლეხი, ნაცვლად იმისა, რომ უსაფუძვლო მომჩივანს სამსაჯულოში მიჰყვეს და პასუხი უგოს, ამბობს: „რაქნა ვინდ სამოსამართლოს კარებში გაუგლეჯოვარ უსინიდისო ადვოკატებს და გინდ მოდავეს წაურთმევია ჩემთვის რამე. ვიცი, რომ საქმეს გავყვე, ერთი კი არა და ორი იმოდენაც არ მეყოფა გასაძღომათ იმ ქობაქებისა, რომლებიც პირ-დაღებული მიცდიან სამოსამართლოს კარებში საქმისწარმოებისათვის, და შემდეგ მსაჯული ვის გაამართლებს, ღმერთმა იცის. ამნაირად თავ-დანებებულ გლეხს სტაცებენ საცხოვრებელს სხვა-და-სხვა ქიშპობაში და გაიძვერობაში გამოცდილი კაცები.

როდესაც რამე საქმე გაქვსთ განსაკუთრებით აქაურ მომრიგებელ სამოსამართლოში და ამ სასამართლოში შედიხართ, არ შეიძლება, რომ ორი ან სამი ვილაცაები არ დაგვედევნოთ კარებში და ხელი არ ჩაგვავლოსთ მკლავში.

— რა გაქვს საქმე, თუ რამე გაქვს, მე შემიძლია გაგიკეთო და მომანდვეო, მაგრამ ფული კი ხელათ მომეცი რამდენიმე.

ათასი რომ უარი უთხრათ, არ მოგეშვება, გკიდებს ხელს და დაგყვირის თავზედ: „წამოდი, ხუთი-ექვსი მანეთი მომეცი და საქმეს შეუდგეთ. ჩემზედ უკეთეს ადვოკატს ვერასდროს ვერ იშოვი.

მომჩივანს თუ ვერ ვავამტყუნებ, ფულს უკანვე მოგცემ.“

ამის გამგონ გლეხს თუ აქვს იმდენი ფული ჯიბეში, რამდენსაც ადვოკატი სთხოვს, ხომ კარგი, მისცემს ძალა-უნებურად; მაგრამ თუ ამდენი არა აქვს, რამდენსაც სთხოვს, ხუთი შაურიც რომ ჰქონდეს, იმას მაინც არ გაატანს ადვოკატი სახლში ძალაუნებურათ გამოგლეჯს ხელიდამ და შემდეგ საქმესაც არ უკეთებს. ჰპირდება, ათრევს: აი დღეს, აი ხვალ მოდი და ვაწარმოვოთ საქმეო.

და ასე თითო გაწეწილ ადვოკატს ოცამდის ეყოლება მოსაქმე კუდში მდევირი გლეხები. მაგრამ ყველაზე მომეტებული დასდევს ხოლმე ერთს თავის მაქებარ აქაურ ადვოკატს ბ. ლ. ა—ძეს, რომელსაც ნამეტანის თავის მოწონებით ისე დაგრეხილი და წამწვეთებული აქვს ულვაშების წვერი, რომ თევზის საჭერი ანკესი გეგონებათ.

მწერლებიც რომ აბათი ამქარი არიან! უბრალო ნომერი რომ გინდოდეს საქმისა, ისინი უეჭველად ლ. ა—ძეს მიგითათებენ: იმასთან მიდი, ის გაგირიგებს საქმესა. ალბათ რაღაცა ნაგლეჯს მოელიან ეს მწერლებიც იმისაგან.

გ. შ.

## წერილი რედაქტორთან

ბატ. რედაქტორო! აგერ მეშვიდე წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენ ზუბელ (ქუთ. მაზრაში) გლეხებს და სოფ. მაღლაკელ თ. თ. ნიჟარაძეებს შუა დავაა შესახებ (ზუბის-მტევრის) სახნავ-სათეს ადგილებისა. ჩვენმა ნაბატონრებმა თ. წულუკიძეებმა მოგვცეს ჩვენ და ნიჟარაძეებს ერთი საბუთით ეს ზუბის მტევრი. ძველი სასამართლოების დროს, ნიჟარაძეებმა განიზრახეს ჩვენი ნაწილი ადგილების ჩამოხდა, მაგრამ მათი სურვილი არ ასრულდა: კანონიერის და ძალაში შესრულის განჩინების ძალით, ადგილები დაგვრჩა ჩვენ და ნიჟარაძეებთ საერთო მფლობელობაში.

1874 წ. იმავე ნიჟარაძეებმა ხელახლად განიზრახეს თავიანთ სურვილის შესრულება. საქმე გაყვეს ორად: სისხლის სამართლით და სამოქალაქო წესით.

სისხლის სამართლის საქმე ასე სწარმოებდა: ქუთაისის მაზრის მაშინდელ მმართველმა ბატ. ბებურიშვილმა ძალად შეგვიკრა ჩვენ ნიჟარაძეების თხვოვნით ხელ-წერილი, რომ არაოდეს არ გვემუშავნა ამ სადავო ადგილებში. გამომეძიებელმა, ბატ. ფიფინაშვილმა, სამაგალითოდ პატიოსანმა კაცმა, მაგრამ ცრუ მოწმეებისაგან შეცდომაში შესულმა, სთველზე ბრძანა ჩვენი დაჭერა. ხონის პრისტავმა სამოც-და-ათი წლის მახსოვარმა კაცმა, ბ. ღოღობერიძემ დაბა ხონს იარმუკობის დღეს (პარასკევს) შეგვკრა სასტიკად თოკებით და დღე-ნახევარი მშიერ-მწყურვალნი დაგვყარა; როცა ჩვენი ცქერა ალარავის ეხალისებოდა, გამოგვისტუმრა ქუთ. სატუსაღოში, სადაც სამი თვე დავყავით.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ, ცრუ მოწმეების საფუძველით, გვიცნო დანაშაულად სადავო ადგილების მითვისებაში. თფ. სამსაჯულო პალატამ ნახა, რომ მოწმეები ცრუობენ, საქმე ნიჟარაძეებიდგან არის შემზადებული, ადგილები ყოველთვის ყოფილა ჩვენს მფლობელობაში და გვიცნო ჩვენ მართლად.

ქუთ. მაზრის მმართველმა ბატ. ბებურიშვილმა და ხონის პრისტავმა უკანონოდ უფლების მიღებისათვის ბ. გუბერნატორისაგან მიიღეს საყვედური, პირველმა — ადგილ-მამულის სჯაში შესვლისთვის, მეორემ ჩვენი უჭმელობისათვის და ჩვენზე უმოწყალოთ მოქცევისათვის.

ახლა სამოქალაქო საქმე.

ქუთ. ოლქის სასამართლომ წარსულის წლის მარიამობისთვეში მიანდო ხონის მომრიგებელ მოსამართლეს ბ. ხარსკის ნახვა ადგილისა — თუ რამდენი სადავო ადგილი უჭირავთ თვით ნიჟარაძეებს და რამდენი ჩვენ, და ამას გარდა გამოძიების მოხდენა და ცნობების მოკრება მახლობელ მცხოვრებლებში — თუ ვინ ფლობდა ჩვენ ხელში ქონებულ ადგილს.

ბ. მსაჯულმა ბრძანების პირველი მუხლი დასტოვა უყურადღებოდ. მეორის შესრულების დროს ზოგი მოპასუხეთაგანი დაგვიბარა და ზოგი დაგვტოვა. დაუბარებელმა მოპასუხეებმა გამომძიებელს ვთხოვეთ არძით ეცნობებია — თუ რა წარმოებაა ჩვენ საქმეზე. აქაც უკულმა დატრიალდა ჩვენი დამწვარი ბედი: თხოვნა ნაკუწ-ნაწათ დაგვახია თავზე და ბევრის უშვერის სიტყვით დალანძღულები გამოგვრეკა კარში. ეს საცოდავი არძა მივართვით ბატ. მსაჯულს თვითონ ხონის მომრიგებელ სასამართლოში,

---

შემოვიდა, შემოუტანა მათ გაზეთი და უთხრა:

— აქ ვილაცას რაღაცაში ამტყუნებენ და ისიც როგორღაც თავს მართლულობს!. მე არაფერი გამიგია და ეგებ თქვენ მაინც მიხვდეთ!

— აჰ! აჰ! ეგ ჩემი საქმე არ არის, ამოვარდეს მაგის მომგონიო! დაიყვირა პლუტუცამ!

— ეჰ, რა გაეწყობა, მე მომეცით! ერთ'ს დროს, როცა ბრიყვი ვიყავი, მეცა ვბლაჯნიდიო! სთქვა ტუტუცამ და შეიკაზმა ცხვირი სათვალებით.

ბევრი ატრიალა, მაგრამ ვერა გაიგო-რა.

— ეს ჩემი დროს ამბავი არ არისო. აქ სხვა რაღაც ამბავიაო!. ამ დროს პლუტუცამ გაიღიმა და სთქვა:

— მეგობარო ტუტუცავ, ხომ გაგიგონია, „გოჭმა კუდი აიბზიკა, მეც ნახირ-ნახიროო?“ მოდი, ერთი ჩვენც გავერიოთ ამ საქმეში და მივსცეთ მოწმობა იმ ვილაცას რაღაცაზედ, რომ მართალია-თქო. ეგება ვინმე მადლიერი დაგვრჩეს!.. საქმე ის კი არ არის, რომ კაცი მართლა რამე იყოს... მხოლოდ უნდა რამეს ჰგავდეს! აბა სულით გაბერილი ტიკი გაურიე სავსე ტიკებში, თუ ისიც სავსე არ ეგონოსთ, სანამ მოულოდნელად ფეხს არავინ წამოჰკრავს! მაგრამ, სანამ ჩვენ ფეხს ვინმე წამოგვკრავდეს, ჩვენ ხომ ჩვენსას გავათავებთ და რაღა გვენაღვლება!..

მოუწონა ტუტუცამ და შეადგინეს მოწმობა!..

—

მაგრამ ის მათი მოწმობა
არ გამოდგარა კარგიო!..
სპილოს რათ უნდა, მათხარით,
უბრალო ვირის ბარგიო?!

—

პლუტუც-ტუტუცის ცრუ-ფიცი
არა ღირს არც ერთ ფარადო;
მათ ბოროტება ხლმათა აქვსთ
და სინიდისი ფარადო!

—

უფროსთან მელა-კუდობენ
ის უნცროსების მგლებიო.
თურმე ზეითაც კი მიდის,
იმათი ანაკლებიო.

—

მაგრამ თუ ხერხი მოუცდათ
ველარ მოხიბვლენ ყველასო,
და გააბამენ მახეში
უცრათ ბატონ მელასო.

აკაკი.

## განცხადება.

რადგანაც ჩვენ ვიკასრეთ პლუტუცების და ტუტუცების ბიოგრაფიის შედგენა როგორც სურამს იქით ისე აქეთ მცხოვრებლებისა, და უნდა ავწეროთ და გადმოვბეჭდოთ ხოლმე ტყუპ-ტყუპათ გაზეთში, ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვ ჩვენ თანამშრომლებს და სხვას ყველას მიიღონ შრომა და გამოგვიგზავნონ უტყუარი მასალები ამ საგნისათვის. ჯილდოთ ამისა წლის ბოლოს ჩვენი თანამშრომლები მიიღებენ ამ გამოჩენილი პირების თავგადასავალის ერთიან ისტორიას.

„ცხელ-ცხელი ამბების“ რედაქტორი
აკაკი წერეთელი.

როცა მას ჯაჭვი ეკიდა და ზალა მაყურებლებით სავსე იყო.

როდესაც გამოძიებაზედ მივარდა საქე, ქუთ. ოლქის სასამართლოში მყოფმა წევრმა ბ. სელეკტრენიკოვმა გამომეძიებელის და საზოგადოების წინაშე დაამცირა ჩვენი ვექილი და ამის შემდეგ დარახველიძემ გამოგვიცხადა ექვსი წელიწადია, რაც უფასოდ ვიფარავდი თქვენს სიმართლეს, ვერ მოვერიევე, თქვენის სიმართლის აღდგენისათვის, ქვეყნის უსამართლობას; რადგანაც ადვილად შესაძლებელია მეტი ლანძღვა ველარ მოვითმინო და მით ცუდს რასმეს შემამთხვიონ, ამას გთხოვთ განმათავისუფლოთ. ამ სიტყვებით გამოგვეთხოვა ჩვენი ვექილი, რომლის შემდეგაც სხვა ვექილის აყვანა ველარ მოვასწარით და ამ ნაირად ს—ის წყალობით, მოვაკლდით იმ ვექილს, რომელსაც ამ ექვსი წლის განმავლობაში, ჩვენი სიღარიბის გამო, არა ვითარი სასყიდელი არ მიუღია ჩვენგან. როგორ შეგვიძლია ვებრძოლოთ ჩვენ სრულიად უცოდინარ გლეხებმა იმისთანა ძლიერ მოდავეებს, როგორც ნიჟარაძეები არიან.

დღეს მომრიგებელ სასამართლოში ვნახეთ, რომ ბ. ნიჟარაძეებს უჩივლიათ სადავო ადგილების ყველა მახლობელ მცხოვრებლებისათვის, რომ გამოძიებაში, რომელიც იმედია მეორედ იქნება; არ ეკითხოს შცოდნე პირებს და ამით შეუძლებელი შეიქნეს სიმართლის შეტყობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქუთ. ოლქის სასამართლო, სადაც 31-ს ამ იანვარს იქნება ჩვენი საქმის განხილვა, მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას ყოველ ამ გარემოებას, თორემ დაგვეკარგება არა მარტო ჩვენი საკუთარი ადგილები—ხუთასი სული ჩავცვივით უმოწყალო თავადების ხელში და თითქმის ულუკმო-პუროთ დავრჩებით.

(ამ წერილზე რამდენიმე გუბელ გლეხის ხელი არის მოწერილი).

სოფ. გუბი, იანვრის 14-სა.

# განცხადებანი

—

თფილისის ქველ-მოქმედის საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლაში მიიღებენ დასაჭრელ, დასაბლანდ და საკერავ ტანთსაცმელთ ქალებისა და ყმაწვილებისა; აგრეთვე ზომის ალებით ამზადებენ სხვა და სხვა თარგებს ბევრ გვარ ფასონისას. ყველა ზაკაზს ზომიერ ფასათ იღებიან.

მსურველთ ახალ მეთოდით ჭრაკერვის შესწავლისა შეუძლიანთ მიიღონ ამ საგანში გაკვეთილები, ცალკე დანიშნულ დროზედ იქვე სკოლაში. მთელი შეგროვილი ფული სკოლის გასამჯობისებლად მიდის. დაწვრილებით ამბავი შეიძლება შეიტყოს სკოლაში არსენალის ქუჩაზე, სახლი № 33. (3—2)

# სალიანი-ჩვენია

და მხოლოდ ჩვენს მაღაზიაში ყოველთვის მოდის ნამდვილი სალიანის შამაიები. **გაფთხილდით!** სალიანის შამაიების მაგივრად სხვა წყლების შამაიები არ მოგყიდონ, რომელიც გაირჩევა ნამდვილი სალიანის შამაიისაგან როგორც ფერით, ისე გემოთ.

ისყიდება წვრილად და პარტიობით: შამაია იაფად, ორაგული, ზუთხი ახალი და ხმელი. წელა, ხიზილალა და სხვა.

**მაღაზია** იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, გენერალი ტერ-ასატუროვის სახლების ქვეშ, რომელსაც აკრავს ვივესკა **„აქ ისყიდება სალიანის თევზეული“**. (3—3)

სოლოლაკში, ერეკლეს ქუჩაზე, ფრიდონოვის (ხატისოვის) სახლებში, № 6 გაიხსნა

**თესლისა და ყვავილების**

**მ ა ღ ა ზ ი ა**

აქვე ისყიდება **წიგნები და ჟურნალები** რუსულს და სხვა ენებზე. (5—1)

# ყმაწვილ

კაცს ჰსურს იშოვოს გუვერნიორის ანუ მასწავლებლის ადგილი. ადრესი წერილით: „დროების“ რედაქციაში ა. დ. სახელზედ, ანუ პირად 11-2 საათამდისინ. (3—2)

მომავალ თებერვლის ცამეტს, დილით, მიროტინის ვალში დანიშნულია **სურამის სუდში გასყიდვა** გ. მჭედლოვის ობლების სახლისა, რომელშიაც სუდი იმყოფება, ხუთ ოთახიანი, კუხნით, ეზოთი და ცარიელის მიწით. სახლის გვერდითვე 6 დღის მიწა-ტყით. სულ დაფასებულია 1800 მან. (3—3)

**შ ე ნ ი შ ნ ვ ა**

**რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.**

**თმის გასამაგრებელი**

**მაკ - მასტერი**

**ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.**

(100—99)

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—15)

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

ეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ 40 კ

— — —1—20 — —1—60

— — —1—40 — —1—80

— — —1—60 — —2— „

— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—86)

**ბანკირის კანტორა**

ალ. ფრიდონოვისა და ი. მახნაზაროვისა

ჰყიდულობს და ჰყიდის ყოველგვარ სარგებლიან (%) ქაღალდებს,

აძლევს ამ ქაღალდების გირაოთ სხვებზე მომეტებულ სესხს $7\frac{1}{2}$% სარგებლით წელიწადში,

მიიღებს შესანახავათ ფულს,

შინაგან სესხის მოგებიან ბილეთებს იღებს სტრახში და სხვ.

კანტორა იმყოფება: სერგეევის ქუჩაზე, სახელმწიფო ბანკის განყოფილების პირ-და-პირ, ალ. ფრიდონოვის სახლში, № 7. (3—3)

ამ წლის 7-ს იანვარს ბუნიბის მოედანზე, ბოდრიუას ცირკის გვერდით გავხსენი

**ზალა გიმნასტიკის ვარჯიშობისა,**

სადაც ყველა ხნის კაცებსა და ქალებს შეუძლიანთ გიმნასტიკური ვარჯიშობა დილის 8 საათიდამ საღამოს 10 საათამდინ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან აქვე ზალის კანტორაში, რომელიც შუა დღიდამ 2 საათამდინ გაღებულია.

აქვე ასწავლიან კანკებით ცურვას და ვარჯიშობას ველოსიპედით; ასწავლიან აგრეთვე ფეხტოვანას. (6—5)

**პატენტიანი შჩოტკები**

**თმებისათვის** 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ფხავილები **სახურავებით** 2 მანეთიდამ; **სარმევი** 30 კაპ.; **რუმკები** 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და **ვედრები** 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ **ინიდუჟ**; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—86)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია [illegible] გასასყიდლათ პირველი [illegible] საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—15)

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—45)

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად**— წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—10)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ჯაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვედების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—15

# МОЛОДОЙ

человѣкъ желаетъ имѣть мѣсто гувернера или репетитора при дѣтяхъ. Адресъ письменно: въ редакцію газ. „Дроэба“ на имя А. Г. или лично отъ 11—2 ч. (3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 29 Января 1881 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი· რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი